ამონაწერი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის

ოქმი N12

ქ. თბილისი 17 ივნისი, 1997 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: მ. სალუქვაძე, ვ. გაბისონია, დ. გრიგორაშვილი, ნ. კილაძე, გ. რამიშვილი, თ. ტროყაშვილი, ნ. ყავლაშვილი, გ. ჩიკოიძე, ვ. ჭავჭანიძე, ვ. ჭიჭინაძე, სამეცნიერო საბჭოს მდივანი მ. ფირცხალავა.

სხდომის თავმჯდომარე მ. სალუქვაძე, მდივანი მ. ფირცხალავა.

დღის წესრიგი: 1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულის დაფუძნებისა და კრებულში სამეცნიერო სტატიების გაფორმების წესის შესახებ.

მოისმინეს: აკადემიკოსმა მ. სალუქვაძემ ისაუბრა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების შესახებ. მან აღნიშნა, რომ 1960 წლიდან ინსტიტუტში ყოველწლიურად გამოდიოდა სხვადასხვა დასახელების რამოდენიმე სამეცნიერო ჟურნალი და ამ მხრივ ინსტიტუტს აქვს კარგი გამოცდილება.
მ. სალუქვაძე შემოვიდა წინადადებით, დაფუძნდეს მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული და შესაბამისად, მიღებულ იქნას სამეცნიერო სტატიების გაფორმების წესიც. ბატონმა მ.სალუქვაძემ ასევე დაასახელა სამეცნიერო შრომათა კრებულის რედკოლეგიის წევრები.

აზრი გამოთქვეს: აკად. ვ. ჭავჭანიძემ, გ. რამიშვილმა, თ. ტროყაშვილმა, ნ. ყავლაშვილმა, ვ.გაბისონიამ. მათ მხარი დაუჭირეს აკად. მ. სალუქვაძის წინადადებას.

დადგენილება:

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს, დაფუძნდეს მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული და ასევე მიღებულიიქნას სამეცნიერო სტატიების გაფორმების წესი.

2. სამეცნიერო შრომათა კრებულის რედკოლეგია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: აკად. მ. სალუქვაძე (მთავარი რედაქტორი), აკად. ვ. ჭავჭანიძე, აკად. ვ. ჭიჭინაძე, ტ.მ.დ. გ.რამიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ტ.მ.კ. ვ. გაბისონია, ტ.მ.კ.

დ. გრიგორაშვილი, ტ.მ.კ. ნ. კილაძე, ტ.მ.კ. თ. ტროყაშვილი, ტ.მ.კ. ნ. ყავლაშვილი, ფ.მ.დ. გ. ჩიკოიძე.

3. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მიღებულიქნა **ჟურნალის დებულება**, რომლის თანახმადაც:

- სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით კრებული გამოიცეს წელიწადში ერთხელ ტირაჟით 100/130 ეგზემპლარი.
- შრომათა კრებულში ძირითადად დაიბეჭდოს ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შედეგები.
- შრომები შეეხება ინსტიტუტის სამ მთავარ მიმართულებას: მართვის თეორიას, მართვის სისტემების დამუშავებას, მათ შორის მართვის პროცესებს ენერგეტიკულ სისტემებში და ინფორმატიკას.
- შრომათა კრებული ყოველწლიურად მიეწოდოს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო ბიბლიოთეკებს.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

კრების თავმჯდომარე
მ. სალუქვაძე

მდივანი
მ. ფირცხალავა

ამონაწერი

სტუ არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის

სამეცნიერო საბჭოს სხდომის

ოქმი N11

ქ. თბილისი 14 ივლისი, 2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: მ. სალუქვაძე (სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე),ნ. ყავლაშვილი, თ. მაგრაქველიძე, ვ. გაბისონია, მ. თუშიშვილი, ო. ლაბაძე, მ. მიქელაძე, თ. ტროყაშვილი, ბ. შანშიაშვილი, გ. ჩიკოიძე, სამეცნიერო საბჭოს მდივანი ნ. კილასონია, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ნ. ჯავაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე მ. სალუქვაძე, მდივანი ნ. კილასონია.

დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის შრომათა კრებულში სამეცნიერო სტატიების გაფორმების ახალი წესის შესახებ.
2. ცვლილებები კრებულის რედკოლეგიაში

მოისმინეს: აკადემიკოსმა მ. სალუქვაძემ კრებას მოახსენა, რომ უნდა იქნას შემოღებული ინსტიტუტის შრომათა კრებულში სამეცნიერო სტატიების გაფორმების ახალი წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება სამეცნიერო პუბლიკაციების საერთაშორისო სტანდარტებთან. მან გააცნო სხდომის წევრებს შესაბამისი განახლებული პარამეტრები და შემოვიდა წინადადებით ინსტიტუტის შრომათა კრებულში სტატიების გაფორმების ახალი წესის შემოღების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გ. ჩიკოიძემ, თ. მაგრაქველიძემ, გ. ჩიკოიძემ, ბ. შანშიაშვილმა.

დაადგინეს:

1. მიღებული იქნას ინსტიტუტის შრომათა კრებულში სამეცნიერო სტატიების გაფორმების ახალი წესი (მოთხოვნები თან ერთვის) და გადაეცეს დასამტკიცებლად კრებულის რედკოლეგიას.
2. დამტკიცდეს კრებულის რედკოლეგია შემდეგი შემადგენლობით:

მთავარი რედაქტორი აკად. მ. სალუქვაძე, სარედაქციო კოლეგია: ტ.მ.კ., ვ. გაბისონია (მთ. რედაქტორის მოადგილე), მ. გეგეჭკორი (პასუხისმგებელი მდივანი), ტ.მ.დ. ა. ბარდაველიძე, ტ.მ.დ. ზ. გასიტაშვილი, ტ.მ.დ. ო. ლაბაძე, ტ.მ.კ. ლ.ლორთქიფანიძე, ტ.მ.დ. თ. მაგრაქველიძე, ტ.მ.კ. მ. მიქელაძე, ტ.მ.კ. თ. ტროყაშვილი, აკად. ა.ფრანგიშვილი, ტ.მ.კ. ნ.ყავლაშვილი, ტ.მ.დ. ბ. შანშიაშვილი, ფ.მ.დ. გ. ჩიკოიძე, ტ.მ.კ. ზ.წვერაიძე, ნ. ჯავაშვილი;

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

კრების თავმჯდომარე
აკად მ. სალუქვაძე

მდივანი
ნ. კილასონია